წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. წალკა

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.ე“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №13 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 28/12/2024, 010260020.35.155.016440).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილი**

დანართი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	პოლიტიკური თანამდებობის პირები	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	6560
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4960
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4320
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3520
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	3200

6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	2560

საკრებულოს აპარატი

№	პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და რანგი	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი – ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	3680
2	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი)	1	2880
3	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2080
4	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2080
5	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1920
6	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
7	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი)	1	2880
8	სამდივნო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2080
9	სამდივნო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760